



**GEORGIA
NATIONAL
URBAN
FORUM**

საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი 2024



**სსიპ სივრცითი და
ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტო**



**საქართველოს ეკონომიკისა
და მდგრადი განვითარების
სამინისტრო**

სარჩევი

- 3 | საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი #1 სივრცითი დაგეგმარება და მდგრადი განვითარება
- 6 | ეკონომიკური განვითარება და სივრცითი დაგეგმვა
- 9 | სააგენტო და განხორციელებული ცვლილებები
- 12 | მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის მეშვეობით საქართველოში ადგილობრივი ზემოქმედების პროცესების და საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება
- 19 | აგლომერაციის დაგეგმვის მნიშვნელობა
- 30 | საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა
- 34 | შეჯამება

CONTENT

- 38 | GEORGIAN NATIONAL URBAN FORUM #1 – SPATIAL PLANNING AND SUSTAINABLE DEVELOPMENT
- 41 | ECONOMIC DEVELOPMENT AND SPATIAL PLANNING
- 44 | THE AGENCY AND THE TRENDS OF THE SECTOR
- 47 | ENHANCING LOCAL IMPACT PROCESSES AND COMMUNITY RESILIENCE THROUGH SDG LOCALIZATION IN GEORGIA
- 54 | IMPORTANCE OF AGGLOMERATION PLANNING
- 65 | SAFEGUARDING GEORGIA'S CULTURAL AND NATURAL HERITAGE
- 69 | SUMMARY

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ 2022 წლის 11 ივნისს შეიქმმა. მის მთავარ ფუნქციას, ევანის მასშტაბით, სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმარების პოლიტიკის განსაზღვრა და გატარება წარმოადგენს.

სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანთა განსახლების პროგრამასთან (UN-Habitat) თანამშრომლობით, პირველი ეროვნული ურბანული ფორუმი გამართა.

საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი #1 სივრცითი დაგეგმარება და მდგრადი განვითარება

თარიღი: 20 -21 ივნისი, 2024 წელი

20-21 ივნისს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ასევე, გაეროს განსახლების პროგრამის (UN-Habitat) მხარდაჭერით, საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი (GNUF) გაიმართა.

ღონისძიება საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა. მან მიმართვისას ქვეყნის განვითარების პროცესში სივრცითი დაგეგმვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ და სააგენტოს კურატორმა. ნინო ენუქიძემ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი მიმართულებით ქვეყანაში არსებული ვითარება მიმოიხილა.

ქვეყნის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესზე, ამ მიმართულებით არსებულ და დაგეგმილ პროექტებზე, პრეზენტაცია სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსმა, იოანე მენაბდემ წარადგინა.

19 ივნისს, ფორუმის გახსნას წინ უძღვოდა გაეროს განსახლების პროგრამის (UN-Habitat) მხარდაჭერით, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებისთვის გამართული სამუშაო შეხვედრა და ტრენინგი. მის ძირითად მიზანს არსებული მდგომარეობის მონიტორინგის მიმართულებით გამოცდილების გაზიარება და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა წარმოადგენდა.

საქართველოს პირველ ეროვნულ ურბანულ ფორუმში საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები მონაწილეობდნენ. ორი დღის განმავლობაში, პანელური სესიები მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირების გზებზე მსჯელობას დაეთმო:

- 1. ადეკვატური საცხოვრისის როლი საქართველოს სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის;**
- 2. საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა;**
- 3. მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის მეშვეობით საქართველოში ადგილობრივი ზემოქმედების პროცესების და საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება;**
- 4. აგლომერაციის დაგეგმვის მნიშვნელობა;**
- 5. საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმის (GNUF) ფარგლებში, მონაწილეების აქტიური ჩართულობით შემუშავდა სამოქმედო გეგმა და კონკრეტული რეკომენდაციები, რომლის პრეზენტაციაც 4-8 ნოემბერს, კაიროში, ეგვიპტეში გამართულ მსოფლიო ურბანულ ფორუმზე (WUF-12) შედგა.**

ფორუმის ფარგლებში, მოწვეული იყვნენ:

- სივრცითი დაგეგმვის პროცესში ჩართული ქვეყნის მმართველი სტრუქტურებისა და დარგობრივი მიმართულებების წარმომადგენლები - აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, სახელმწიფო რწმუნებულები, მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები;
- ევროპის, შუა აზიისა და მეზობელი ქვეყნების შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები;
- საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, დარგობრივი საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუტების, პროფესიული გაერთიანებებისა და არაკომერციული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის: Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ), Asian Development Bank (ADB), World Bank Group (WB), USAID National Governance Program და სხვ.

საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმის ფოკუსში (GNUF), სივრცითი დაგეგმვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო. ვინაიდან საქართველო პირველად ამზადებს ქვეყნის სივრცითი მოწყობის კონცეფციას, მნიშვნელოვანი იყო, პროცესში გათვალისწინებულიყო სხვა ქვეყნების მაგალითი და ამავედროულად, ფორუმის ფარგლებში განხილული ყოფილიყო ყველა ის საკითხი, რაც პროცესის გამომწვევად მიიჩნეოდა. ერთ-ერთი სირთულე, რაზეც მნიშვნელოვანი იყო ყურადღების მიპყრობა, ქვეყნის მიერ “მდგრადი განვითარების მიზნების” სისრულეში მოყვანის საკითხს უკავშირდება, რაც მმართველობითი სისტემის ყველა რგოლში უნდა იყოს გათვალისწინებული, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე.

ფორუმის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა იმ სივრცით და ურბანულ შესაძლებლობებზე, რომელიც საქართველოს გააჩნია და ამასთანავე, გაანალიზდა კლიმატის და ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობა, როგორც ქვეყნის, ისე რეგიონული მასშტაბით.







ლევან ღვინიაშვილი

პირველი ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

ეკონომიკური განვითარება და სივრცითი დაგეგმვა

მოგესალმებით!

პირველ ყოვლისა, მინდა, დღევანდელი კონფერენციის ორგანიზატორებს, განსაკუთრებით, გაეროს განსახლების პროგრამის წარმომადგენლებს, მადლობა გადავუხადო იმ საქვეყნო საქმეში წვლილის შეტანისთვის, რასაც საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი ემსახურება. აღსანიშნავია, რომ ეროვნული სივრცითი მონაცემების კონცეფციის შემუშავება და მათში მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე, სივრცითი მონაცემების განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. ის ქმნის ახალ შესაძლებლობებს ქვეყნის გარეთ - საერთაშორისო დონეზე პოზიციონირებისა და ქვეყნის შიგნით - თითოეული მოქალაქისთვის. სწორედ მისი დახმარებით, ჩვენ ვქმნით ტერიტორიული უპირატესობების გამოყენების შესაძლებლობებს, რამდენადაც ქვეყნის მასშტაბით თანაბარი განვითარება, მიღწევადია მხოლოდ სივრცითი მონაცემების ინსტრუმენტის გამოყენებით. აღსანიშნავია გეოპოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა ქვეყნის სივრცით განვითარებაზე. საქართველოს როლი გლობალურ ეკონომიკაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება და შესაბამისი უნდა იყოს ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი ხედვა.

ამ პროცესში, მნიშვნელოვანია, რომ გეგმარებითი გადაწყვეტები პასუხობდეს როგორც საერთაშორისო რეალობას, ასევე, ადგილობრივ კონტექსტს და ითვალისწინებდეს თითოეული მოსახლის ინტერესს. წამახალისებელი თუ ამკრძალავი ღონისძიებები პროპორციულად იყოს გამოყენებული. ამასთანავე, მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის, სივრცითი მონაცემების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა წარმოადგენს. სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს საქმიანობაც სწორედ ამ პრინციპების დაცვას უზრუნველყოფს.


საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ფორმატი პრაქტიკულ შედეგებზეა ორიენტირებული და სესიებში როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები მონაწილეობენ. ორი დღის განმავლობაში, ისინი ერთობლივად განიხილავენ სივრცითი და ურბანული პრაქტიკის საუკეთესო ვერსიებს და ჩვენ, შედეგად მივიღებთ მეტად ეფექტიან ინსტრუმენტებს მდგრადი სივრცითი დაგეგმვისთვის.

აღნიშნული პრაქტიკა აპრობირებულია ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა წარმომადგენლებს - ექსპერტების რანგში - ფორუმი მასპინძლობს. შესაბამისად, მათი ჩართულობა ამ პროცესში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. აღსანიშნავია, ამ ფორუმის მნიშვნელოვანი როლი სივრცითი დაგეგმვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესში. მოგეხსენებათ, აუცილებელია, დაგეგმვა წარმოებდეს საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინებით.

დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ღონისძიება მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს სივრცითი და ურბანული განვითარების ახალი სტანდარტების დანერგვის მიმართულებით. ახლა კი, წარმატებას ვუსურვებ საქართველოს პირველი ეროვნული ურბანული ფორუმის მონაწილეებს და მადლიერებას გამოვხატავ მათ მიმართ, ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში ჩართულობისთვის!



გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა და ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმა დაწყების თარიღი: სექტემბერი, 2022



პროექტი:
გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა და ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის შემუშავება

ეტაპი 2
გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფცია

დაშვებით
სსიპ სივრცითი და ქალაქგეგმარების განვითარების სააგენტო

შემსრულებელი
სტუდია 21 გ. და დ. ზ. საკონსულტაციო ცენტრი "გეოფორმისი" **გეოტეხპროექტი**

პირობითი აღნიშვნები

- საკლდევი არეალი
- დასახლებები
- შენიშვნები
- დასახლებული/განაშენიანებული ტერიტორიები
- წყლის ობიექტები
- რკინიგზა
- სივრცის ნიშნული
- მთავარი პირისორტული (ყოფელ 10 მეტრში)

სივრცითი კატეგორიები:

- ბუნებრივი ღანძლოეტი
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორია
- დასახლებული ტერიტორია (განაშენიანებული/ურბანიზებული)
- დასახლებული ტერიტორია (განაშენიანებული/ურბანიზებული) (სარეზერვო ტერიტორიები/კონცეფცია)
- სხვა ტერიტორიები (სატრანსპორტი)

ფორმატი: 42 * 59 სმ

თარიღი: 2023

მასშტაბი: 1:100,000 1 სმ = 1,000 მ

WGS 84 / UTM 38N

პროექტის ხელმძღვანელი:
ბ. აბულაძე
ბ. გოცორიძე
გურჯაანი
გის-ის უცპერტი
ს. კანტაშვილი
გეოგრაფი-ბიოლოგი



ნიკო ანუჩიძე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
მინისტრის პირველი მოადგილე

სააგენტო და განხორციელებული ცვლილებები

მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო, მონვეულო საზოგადოებავ!

მოხარული ვარ, დღეს თქვენთან ერთად განვიხილო ის ცვლილებები, რომელიც არსებულ გამოწვევებს პასუხობს და ქვეყნის მდგრად განვითარებას უწყობს ხელს. პროექტები, რომელიც ქვეყანას ერთიან ტერიტორიულ, ეკონომიკურ და სოციალურ ორგანიზმად აყალიბებს. ინსტრუმენტი, რომლის დანერგვაც ქვეყნის თანაბარი, მდგრადი განვითარების საწინდარია და პროცესი, რომელსაც სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო, უკვე ორი წელია წარმართავს.

სივრცითი დაგეგმვა არის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი. ვიდრე ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების შედეგებს შევაჯამებ, მინდა, მცირე ექსკურსი გავაკეთო სააგენტოს შექმნიდან დღემდე.

სააგენტოს დაარსებიდან 1 წელიწადში შესაძლებელი გახდა საქართველოში, პირველი სივრცითი ფორუმის ჩატარება. ფორუმის მონაწილეების მხრიდან საკითხების განხილვის კომპლექსურმა მიდგომამ, წარმოშვა საქართველოს, როგორც სივრცით და ურბანულ განვითარებაში სწორი პოლიტიკის მქონე ქვეყნის მიმართ ინტერესი. დღეს კი, გაეროს განსახლების პროგრამასთან ერთად, პირველი ეროვნული ურბანული ფორუმი იმართება, რაც საქართველოს კიდევ უფრო უმყარებს პოზიციას როგორც ქვეყანას, რომელსაც განსაზღვრული პოლიტიკა აქვს მდგრადი განვითარების მიმართულებით.

ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ამჟამად სააგენტოს ეგიდით პროექტები 12 მუნიციპალიტეტში ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, რომელიც ჩვენი ძირითადი საერთაშორისო პარტნიორია, მათი რიცხვი წლის ბოლომდე 20-ს გადააჭარბებს. ამასთანავე, ინერგება ინტეგრირებული სივრცითი და ურბანული


დაგეგმვის სტანდარტები. ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაზე მოქალაქეების წვდომის ხელშეწყობისთვის, მომზადდება სახელმწიფო ციფრულ პლატფორმებთან ინტეგრირების სამუშაო ვერსია. წელსვე დაიწყება საქართველოს სივრცითი მონაცემების კონცეფციის პირველი დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაოები. მნიშვნელოვანია, რომ პროცესში სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილება იქნება გაზიარებული. ამის მოლოდინს ქმნის სააგენტოს მჭიდრო თანამშრომლობის მაგალითები საერთაშორისო დონეზე. მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ე.წ. ესთეტიკური პარამეტრების შემოღების პროცესს, რაც ეტაპობრივად მოგვცემს საშუალებას ჩვენი დასახლებები და სოფლები მიმზიდველად გამოიყურებოდნენ. 2023 წლიდან სააგენტო სივრცითი მგეგმარებლების ევროპულ საბჭოშია განწევრიანებული, მჭიდროდ თანამშრომლობს, შვედეთის, პოლონეთის, დიდი ბრიტანეთის, სერბეთის, საფრანგეთის შესაბამის სამსახურებთან, მაღალია დაინტერესება კერძო საერთაშორისო თუ ადგილობრივი საკონსულტაციო კომპანიების მხრიდან. ეროვნული სივრცითი დაგეგმარების გეგმის შემუშავებაზე ინტერესი 56-მა საერთაშორისო და ადგილობრივმა საკონსულტაციო კომპანიამ გამოხატა.

ნებისმიერ პროცესში მთავარია თანმიმდევრულობა. სივრცითი და ურბანული მიმართულებით განვითარება და შესაბამისად, უკეთესი საცხოვრებელი გარემო, ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენს, რასაც მიმდინარე ფორუმიც ადასტურებს.

ამდენად, მინდა, მაღლობა გადავუხადო ყველა ჩართულ მხარეს და ვუსურვო წარმატება!




ურავი-შავკვეთილის გენერალური გეგმის განახლება დაწყების თარიღი: ოქტომბერი, 2023



შავი
ზღვა

ურავი-შავკვეთილის კლასტერის პირობითი უზენაესი / საბალანსო ერთეულზე დაყოფის სქემა



პირობითი აღნიშვნები

- შიდროქსელი
- საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა ს-2 / E70
- საკვლევი არეულის საზღვარი
- I სანიტარული დავის ზონა
- II სანიტარული დავის ზონა
- მშენებელი ღრუები
- აღდგომითი მნიშვნელობის საავტომობილო გზები
- ↔ კურორტი
- საზღვაო პირი
- უბნის ცენტრი
- საპროექტო-საპროექტო გზის ქვედა სადგური
- 1 ფეხმარების მოედანი
- 2 ურუკის რკინიგზის სადგური
- 3 დენდროლოგიური პარკი
- 4 პარკული რეზორტ & სპა შეკეთებული
- 5 მუსიკოსთა პარკი
- 6 BLACK SEA არენა
- 7 აგრეთვე მოხმობის პარკი "ვივინათულა"

თანამდებობა	სახელი დასახ	საბრუნო
ორგანიზაციის დირექტორი	აკაკი ზვინაძე	
პროექტის მენეჯერი	ლევან ხუბულაძე	
დადგენის ხელმძღვანელი	ლევან ვარდოსანიძე	
არქიტექტორი-ურბანისტი	ირაკლი ზუგდიდელი	
გრაფიკოსი	ია ლოდია	
გრაფიკოსი	დინა ხაშიანიძე	
ვის სპეციალისტი	ილინა ქვიციანიძე	
	პლანშეტის ზომა 350 სმ 59.1 სმ	დაბეჭდვის თარიღი 2023.04
არქიტექტორი:	შემარღვებელი:	შემამუშავებელი:
სანა საბუღალბო-გეგმარების სააგენტო	შპს "ნოვო-ბალანსი" ს.პ. 2023.04.08	ირაკლი ზუგდიდე

მდგრადი განვითარების მიზების ლოკალიზაციის მეშვეობით საქართველოში ადგილობრივი ზემოქმედების პროცესების და საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება




კატია შაფერი

რეგიონული მრჩეველი, გაროს განსახლების პროგრამა

ეს არის პირველი ეროვნული ურბანული ფორუმი, რომელიც თავს უყრის საცხოვრისის და მდგრადი ურბანიზაციის სფეროში მომუშავე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, საქართველოს წინაშე არსებული ძირითადი პრიორიტეტების განსახილველად. აღნიშნული ფორუმი არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მიზნად ისახავს დაინტერესებულ მხარეთა შეთანხმებას პრიორიტეტებზე, ასევე, შეთანხმებას კონკრეტულ სამოქმედო ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სააგენტოს მიერ მომდევნო პერიოდში, შემდეგ ეროვნულ ურბანულ ფორუმამდე. აღნიშნულ სამოქმედო გეგმას მონიტორინგს გაუწევს და მათ განხორციელებას დააკვირდება სააგენტოს გუნდი. ჩვენ მოუთმენლად ველოდებით საქართველოს დელეგაციის ვიზიტს ეკვიპტეში მსოფლიო ურბანული ფორუმის მომავალ მე-12 სესიაზე.

ჩვენ, UN-Habitat, ვართ საქართველოს ძლიერი პარტნიორი და მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სააგენტოსთან, რათა ტექნიკური მხარდაჭერა გავუწიოთ ამ კომპლექსურ საქმიანობას, რომლის საფუძველზე უნდა შემუშავდეს სივრცითი განვითარების ეროვნული გეგმა, რაც დააჩქარებს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას საქართველოს მასშტაბით.

არჩო-თიანეთის სივრცითი დაგეგმარების გეგმა დაწყების თარიღი: ნოემბერი, 2023



მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის ეფექტობით საქართველოში ადგილობრივი განვითარების პროცესების და საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება



ბელან მაკარაშვილი

**პარტნიორობისა და პროგრამის მართვის ოფისერი,
გაეროს განსახლების პროგრამა**

მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაცია ეხება მიზნების რეალობად გარდაქმნის პროცესს ეროვნული განვითარების ჩარჩოების ფარგლებში და საზოგადოების პრიორიტეტების შესაბამისად. ეს არის ორმხრივი პროცესი, რომელშიც ადგილობრივი მოიცავს ეროვნულსა და გლობალურს და პირიქით. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში არსებული გამოწვევების საპირისპიროდ იწყებენ მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვას არსებული გამოწვევების საპირისპიროდ, გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიების დაგეგმვით და ადგილობრივ მთავრობებთან კოორდინაციის გზით შემდგომში მრავალსაფეხურიანი მმართველობის პერსპექტივით. საქართველოსთვის მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის საშუალებას აძლევს ქვეყანას, უფრო ეფექტურად მოაწესრიგოს რეგიონების არათანაბარი განვითარება და გამოკვეთოს ადგილობრივი საჭიროებები. მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ პოლიტიკასა და ინიციატივებში ინტეგრირებით, საქართველოს შეუძლია, ხელი შეუწყოს ინკლუზიურ ზრდას, გააძლიეროს საზოგადოების მდგრადობა. ასევე, უზრუნველყოს მდგრადი განვითარების შედეგად საზოგადოების ყველა სეგმენტისთვის სარგებლის მოტანა.

პანელი შედგებოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომლებიც რეგიონებში მუშაობენ მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციაზე. პანელი განსაკუთრებით საინტერესო იყო, რადგან ის ხელს უწყობდა რეგიონულ დონეზე გამოცდილებების ურთიერთგაცვლას. ქალაქებმა, კერძოდ, თბილისმა, ნისმა, ბიშკეკმა და დუშანბემ, გამოავლინეს პოტენციური ადგილობრივი დონეზე ცვლილებების ხელშეწყობაში მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის დაჩქარებით და ქვეყანაში მრავალდონიანი მმართველობის მექანიზმების გაუმჯობესებით. ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა განიდა როგორც ინოვაციური პროცესი ქალაქების მიერ და ქალაქებისთვის, რომელიც გვიჩვენებს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მანდატის ცენტრალურ როლს და ადგილობრივ ქმედებებს ეროვნული პრიორიტეტების განხორციელებაში, მდგრადი განვითარების ხელშეწყობის საქმეში. ნებაყოფლობითი ადგილობრივი განხილვა აღმოჩნდა ლოკალიზაციის ძლიერი აქსელერატორი, რომელიც ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების დანერგვისა და გაგების საერთო ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერებას.



გარდა ამისა, პანელურ სესიებზე აუდიტორიასთან განხილვის შედეგად შემუშავდა ორი გაცხადებული ქმედება (მოქმედებაზე ორიენტირებული ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვა) - უკეთესი მრავალსაფეხურიანი მართვის სისტემისა და ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის სისტემური ლოკალიზაციის პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით. ესენია:

გაცხადებული ქმედება 1: საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმი მოუნოდებს საქართველოს მთავრობას, ადგილობრივ ხელისუფლებას და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს, მხარი დაუჭირონ მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციას. ეს ხელს შეუწყობს მონაცემთა დაჩქარებულ შეგროვებას სტრატეგიული სივრცითი დაგეგმვის წარმართვისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებისთვის, მათ შორის, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, მოქმედებაზე ორიენტირებული ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვებისა და ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვების ჩათვლით. საქართველოს მთავრობამ მხარი უნდა დაუჭიროს ამ პროცესს ადგილობრივ მმართველობებთან კოორდინირებით და მათი მონაწილეობით.

გაცხადებული ჟამლება 2: საქართველოს ეროვნული ურბანული ფორუმის შედეგად სტიმული მიეცემა მრავალდონიანი მმართველობის დანერგვას, რომლებიც მოიცავს მთელ მთავრობას და საზოგადოებას, ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების გაძლიერებით, რათა გაუმჯობესდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვა, დაფინანსება, განხორციელება და პროგრესის მონიტორინგი მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად, იმგვარად, რომ ყველა მოქალაქე იყოს გათვალისწინებული.


ჩემი სამომავლო ხედვა საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნების შესახებ ასეთია:

- ვაღიარებთ რა, რომ ადგილობრივი ქმედება და ლიდერობა უმნიშვნელოვანესია მიმდინარე გლობალური კრიზისების მოსაგვარებლად და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის, ადგილობრივმა ხელისუფლებამ წარმომადგენლებმა უნდა გააძლიერონ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ფინანსური, ტექნიკური და სამართლებრივი შესაძლებლობები და მათ საშუალება მისცენ, განახორციელონ ქმედებები თავიანთი მანდატის ფარგლებში;
- მრავალდონიანი მმართველობა მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის ძლიერი ხელშეწყობია, ამიტომ ჩვენ უნდა ვიმუშაოთ მთავრობის ყველა დონეზე, რადგან მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება ემყარება დამოუკიდებელ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ შემსრულებლებს სხვადასხვა დონეზე;
- ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა იმუშაონ ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებთან და ადგილობრივ თემებთან ერთად, რათა შექმნან ხელსაყრელი გარემო მდგრადი განვითარების მიზნების ლოკალიზაციის ხელშეწყობის მიზნით.



დაბა ბაკურიანისა და მიმდებარე დასახლებების სივრცის დაგეგმარების გეგმა

დაწყების თარიღი: ნოემბერი, 2023



აგლომერაციის დაგეგმვის მნიშვნელობა



ჰერმან ჰინკარი

ადამიანთა განსახლების ოფისერი,
ბაეროს განსახლების პროგრამა

მსგავსი ფორუმები მართლაც მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ყველამ გამოთქვას თავისი აზრი და მოვისმინოთ სხვადასხვა ადამიანის მოსაზრებები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, ქვეყნის დაგეგმვასთან და განვითარებასთან დაკავშირებით. ასევე, გავარკვიოთ, თუ როგორი იქნება და როგორ შეგვიძლია გავაუმჯობესოთ ქვეყნის მომავალი განვითარება და რა გადაწყვეტილებებია მისაღები, რათა მომავლის გეგმები რეალობად იქცეს.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე დაიწყოს საუბარი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, თუ როგორ ხედავენ ისინი ქვეყნის განვითარების მომავალს და ვინ დაიწყებს იმ საჭირო პოლიტიკის, კანონმდებლობისა და მმართველობის სტრუქტურის შემუშავებას, რომელიც შესაძლებელს გახდის განხორციელებას.

ვფიქრობ, სააგენტოს მიერ შექმნილი ფორმატი ფორუმისთვის ნამდვილად კარგი იყო და სააგენტოსთვის, როგორც სამომავლო განვითარების პროცესის მეურვესთვის, მართლაც მნიშვნელოვანია, მხარი დაუჭიროს პროცესს, მას შეუძლია გავლენა იქონიოს და სხვადასხვა ქალაქს დაეხმაროს მდგრადი განვითარების მიმართულებით.

აგლომერაციის დაგეგმვის მნიშვნელობა



თომას შტელმანი

კომპანია "TSPA"-ის დირექტორი, ურბანული დიზაინისა და ურბანული კვლევების ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი, ბრანდენბურგის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი

მიმაჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფის კომპოზიცია შესანიშნავი იყო, საერთაშორისო ცოდნის (მაკედონია, გაერო) კომბინაცია ქართულ გამოცდილებასთან (მუნიციპალური და ეროვნული) ძალიან კარგი და ნამდვილად ღირებულია. ჩვენ მოვახერხეთ წარგვემართა თემატური დისკუსიები, სესიის მანძილზე არ გადაგვიხვევია თემიდან და კარგი შედეგებიც მივიღეთ.

არსებული გამოწვევების კუთხით შვახათ შამდავ საკითხებს:

- ქართული განვითარება შესაბამისი რეგულაციების ნაკლებობა, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტებში;
- განვითარებადი სატრანსპორტო ქსელი; საცობები;
- რეგიონალურ დონეზე დაგეგმვის ნაკლებობა;

- ეკოლოგიური პრობლემები (მდინარის დატბორვა, 2015 წლის ტრაგიკული მენყერი, 2002 წლის მიწისძვრა);
- მოძველებული საცხოვრებელი ფონდი (რაც დაკავშირებულია გარემოსდაცვით პრობლემებთან);
- ურბანიზაციის პროცესი, რომელიც სცილდება დადგენილ რეგულაციებს (მოძველებული საცხოვრებელი ფონდი, დამოუკიდებელი მშენებლობის ეტაპობრივი განვითარება არსებულ მოძველებულ საცხოვრებელ ფონდთან შესაბამისობაში);
- დაგეგმვის პროცესის და კანონმდებლობის ხარვეზები;
- დაფინანსების ნაკლებობა;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაკლები გამოყენება, გადატვირთული გზები;
- წინააღმდეგობა რეგულაციებთან რეგულირების ნაკლებობის გამო;
- ინტეგრაციის საჭიროება ყველა დონეზე;
- მიწის საკუთრების პრობლემები და საერთო ურბანული პოლიტიკის არარსებობა;
- სწრაფი განვითარება აგლომერაციის ზონაში;
- მონაცემების ნაკლებობა.

ცნობიერების ამაღლება, თანამშრომლობა, დაგეგმვის გაძლიერება და პარადიგმის შეცვლა საქართველოში: ხელი უნდა შეეწყოს ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას, რაც დაგეგმვის პროცესი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. აუცილებელია საჯარო ვალდებულებების, სამომავლო საზოგადოებრივი სიკეთის უზრუნველყოფისა და მიმდინარე პრაქტიკების ურთიერთდაკავშირება.

აუცილებელია, გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობა გამჭვირვალობისა და მონაწილეობის გზით: უნდა შემუშავდეს აგლომერაციის სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარისა და მიწის მესაკუთრეების ჩართულობას კონცეფციების შემუშავების პროცესში.

ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერება: კერძოდ, მუნიციპალიტეტებსა და სააგენტოს შორის სტრატეგიული დაგეგმვისა და ცოდნის გაზიარებისთვის.

დაუყოვნებლივი მოქმედების საჭიროება: უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი კვლევის, ანალიზის, ხედვისა და კონცეფციის მოსამზადებლად.

გადანყვეტილების მიღებისა და რეგულირების სიცხადე: უნდა განახლდეს მარეგულირებელი ჩარჩო: უფრო კონკრეტული, შესაბამისობაში საქართველოს რეალობასთან.

გადანყვეტილებების მიღება სივრცითი მონაცემების საფუძველზე: მიწის რესურსების მონაცემთა ბაზის შექმნა, მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით დაგეგმარების პროცესში გადანყვეტილებების მიღება.

რისკზე დაფუძნებული მიდგომა დაგეგმარებაში: მოსახლეობისთვის აგლომერაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეებისადმი მედეგობა თბილისის კონტექსტის შესაბამისად.

სამშენებლო და არასამშენებლო ზონების გამკაცრება: ზრდის მდგრადი სტრატეგიების

შესასრულებლად შემოსაზღვრული ტერიტორიების მკაცრი დაცვა, ბუფერული და დამცავი ზონების გამოყოფა.

ყოველსმომცველი და გრძელვადიანი მიმართულებით, სხვადასხვა მასშტაბის გათვალისწინებით, დაგეგმარება და განვითარება. თბილისის გეგმების რეგიონულ და ეროვნულ სივრცით გეგმებთან დაკავშირება. რეგიონული დონის გეგმის საჭიროება შესაბამის ინსტიტუტებთან ერთად უნდა განისაზღვროს. მცხეთა-თბილისი-რუსთავი-გარდაბანი უნდა ჩაითვალოს რეგიონულ სისტემად.

საჯარო მიწების სტრატეგიის შემუშავება: მიწის სტრატეგიული პოლიტიკის შემუშავება.

სათანადო საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემის შემუშავება: სატრანზიტო ინფრასტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს თბილისის მზარდი მოსახლეობის საჭიროებებს; უნდა განიტვირთოს სატრანსპორტო ცენტრალური ღერძი.

სტრატეგიული სიმჭიდროვის გათვალისწინება: ტრანზიტზე ორიენტირებული განვითარება (TOD) ხელს შეუწყობს სატრანსპორტო საცობების შემცირებას და აუცილებელი სერვისების ეფექტიან თავმოყრას.

ცოცხალი ლაბორატორიების შექმნა: ახალი იდეებისა და ინოვაციური გადაწყვეტილებების შესამუშავებლად, უნდა შეიქმნას მეზობელი ქალაქების პროექტები და წარმატების შემთხვევაში, შეიძლება, დაინერგოს პრაქტიკაში.






ზურაბ ნიკლაური

სსიპ სივრცითი და ქალაქთგეგმვალობითი განვითარების სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ქალაქ თბილისის გენერალური გეგმის საპროექტო სამუშაოების პროცესში შემოთავაზებული იქნა პირველადი მოსაზრება მცხეთა-გარდაბნის გრძივი ღერძის აგლომერაციული სივრცის განვითარების შესახებ. დღეის მდგომარეობით, განვითარების კონკრეტულმა მიმართულებებმა დღის წესრიგში დააყენა თბილისის გარშემო აქტივობების ერთიან სტრატეგიაში მოქცევის აუცილებლობა. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს უახლოეს დროში გამოიკვეთოს თბილისის აგლომერაციის არეალი, რომელიც საფუძველს დაუდებს საპროექტო-კვლევით სამუშაოებს. საკითხი სავარაუდოდ გაცდება თბილისის გენგეგმის შემუშავებისას გამოკვეთილი გრძივი ღერძის კონცეფციას და ის განივ განვითარებასაც მიიღებს საგარეჯო-გორის მიმართულებებზე. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია შუა დერეფნის სტრატეგიის გაჩენის შემდეგ, რომელიც მოითხოვს კომპლექსურ გადააზრებას სივრცითი და ქალაქთგეგმვალობითი პროექტების დამუშავებისას. შუა დერეფნის აქტივობები დღის წესრიგში აყენებს აგლომერაციის კონცეფციის მკაცრ ფუნქციურ გადააზრებას - ურბანული, ინდუსტრიული, ლოჯისტიკური, ინფრასტრუქტურული და ბუფერული ზონების თვალსაზრისით. ეს ფაქტორი გადაუდებელ აუცილებლობად მოითხოვს კომპლექსური საპროექტო-კვლევითი სამუშაოების დაწყების აუცილებლობას. ამ მიმართულებით აუცილებელი იქნება ყველა მიმდებარე მუნიციპალიტეტის და დარგობრივი სტრუქტურების ჩართულობა.

ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმა

დაწყების თარიღი: ნოემბერი, 2023





მერაბ ბოლქვაძე

ურბანისტი, სრული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბოლო პერიოდში გაჩნდა წინადადებები და საჯარო განცხადებები მსხვილ პროექტებზე:

- აეროპორტის მშენებლობის შესახებ ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე;
- დიდი სტადიონის მშენებლობა იგივე არეალში;
- ლოჯისტიკის არსებული და პერსპექტიული ობიექტები;
- ქ. რუსთავის შემოსასვლელი დიდი სამშენებლო განვითარების საპროექტო წინადადება - 200 ჰა-ზე მეტი;
- საგურამოს და მიმდებარე ტერიტორიის ქაოტური განვითარება;
- დამთავრდა მცხეთის მინათსარგებლობის გენერალური გეგმის სამუშაოები, რომელშიც არის წინადადება აგლომერაციის მნიშვნელობაზე;
- მუხრანის ველის უკონტროლო მშენებლობა;
- თბილისის მინათსარგებლობის გენერალურ გეგმაში იყო აგლომერაციის განვითარების მოსაზრება და შემოთავაზება მისი დამუშავების შესახებ;

აი ეს დიდი სამშენებლო განვითარება აუცილებლად ითხოვს ქ. თბილისის, მცხეთის, რუსთავის, გარდაბანის აგლომერაციის ერთიან გააზრებას, არა ფრაგმენტულ დამუშავებას, არამედ ერთიანი აგლომერაციის პროექტის შესრულებას.

საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა



თავარ კითხვა

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი

მემკვიდრეობის ინტეგრაცია ურბანულ დაგეგმარებასა და დიზაინში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტერიტორიის განვითარებისთვის. მემკვიდრეობის შენარჩუნება ურბანული დაგეგმარების პროცესში, იწვევს ტერიტორიის სათანადო განვითარების შემოქმედებით და პროდუქტიულ გადანაცვლებებს, სადაც გამოკვეთილია კულტურული ინდივიდუალიზმი, გაძლიერებულია ტერიტორიის არსებული ხასიათი, მახასიათებლები და ფუნქციები და ხელშეწყობილია მისი კულტურული და ტურისტული მიმზიდველობა.

ქვეყანაში ინკლუზიური და მდგრადი ურბანული დაგეგმარების პოლიტიკის გასაძლიერებლად, აუცილებელია ურბანული დაგეგმარების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც სიღრმისეულად მოიცავს მემკვიდრეობის დაცვას მისი ყველა, როგორც ბუნებრივი, ასევე კულტურული განზომილების კუთხით, მათ შორის მატერიალურისა და არამატერიალურის ჩათვლით.

ურბანული დაგეგმარება ეფექტური და პროდუქტიულია, როდესაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი რეკომენდაციები:

საზოგადოების ჩართულობა და დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობა: მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი თემების, სამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციების, დარგის ექსპერტებისა და აკადემიური ინსტიტუტების, დაინტერესებული მხარეებისა და ბენეფიციარების ჩართულობის გაძლიერება ურბანული დაგეგმარების პროცესში;

- განათლება და ცნობიერების ამაღლება: საგანმანათლებლო ინიციატივებისა და წახალისებების ხელშეწყობა სამიზნე ჯგუფებისთვის, რათა გაძლიერდეს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის როლი ურბანული განვითარების პროცესებში;
- ყოვლისმომცველი კვლევა: რეალიზების დეტალური კვლევების ჩატარება, მათ შორის კულტურული და გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედების შეფასება;
- კატასტროფის რისკის შეფასება და მართვა: გეოგრაფიული საფრთხეების შეფასება;
- უსაფრთხო, მოქნილი და მდგრადი რეგიონული განვითარება: ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა ეკოტურიზმის სხვადასხვა პროდუქტის განვითარება, მიტოვებული კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მოძიება და აღორძინება.



**კურორტ მუაშის
განაშენიანების დათალური გეგმა
დაწყების თარიღი: დეკემბერი, 2023**



საგურამოს და მიმდებარე ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმა დაწყების თარიღი: ოქტომბერი, 2023

დაბა საგურამოს, სოფელ ჭოპორტისა და ახატანის მიმდებარე არეალების მიწათდაფარულობის რუკა

პროექტი
მცხეთის მუნიციპალიტეტის საგურამოს, გაღავნის, ნავდარაანთკარისა და ჯიღურას ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების და ლუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭოპორტი და სოფელი ახატანი და მათი მიმდებარე ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების გეგმა

ეტაპი 1 - გეგმის მოსამზადებელი კვლევების შედეგები
1.2 - საბოლოო ანგარიში
მასშტაბი 1: 100 000



პირობითი აღნიშვნები

- ღაზსატარებელი საპროექტო საზღვარი
- მცხეთისა და ლუშეთის შორის არსებული მუნიციპალური საზღვარი
- დასახლებული პუნქტი
- განამკენიანებული ტერიტორია
- საგზაო ინფრასტრუქტურის ქსელი
- საკატორბოლო ხილი
- მცხეთა-სტეფანწმინდა-დარჩის გზის ახალი ტრაექტორია
- გეგმარებითი ერთეულის - კლასტრის საზღვარი

კულტურული მემკვიდრეობა

- ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლი
- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი

ჰიდროლოგია

- მდინარეების - არაგვისა და თუზაშის საავადლო კადასტრები
- წყლის ობიექტი

ინტერეს წერტილები

- კერძო და საჯარო სკოლები
- საბავშვო ბაღი
- პროფესიული სასწავლებელი
- ჯანდაცვა
- სპორტული ობიექტი
- მუზეუმი
- საკულტო ნაგებობა
- პოლიცია
- შესაძლო მავნე ტექნოგენური ზემოქმედების წყარო
- არაფორმალური ნაგავსაყრელი

მიწათდაფარულობა

ნაშენი გარემო	უშენი ტერიტორიები
განამკენიანებული ტერიტორია	ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია
საგანმანათლებლო დაწესებულება	თბილისის ეროვნული პარკი
სპორტულ-სარეკრეაციო ტერიტორია	სატყეო ტერიტორია
სპეციალური ტერიტორია	სხვა არასამშენებლო ტერიტორია
საერთო სარგებლობის ტერიტორია	სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია
საინჟინრო ინფრ-ის ტერიტორია	
სასაფლაო	
საწარმოო, სამრეწველო ტერიტორია	



იოანე მენაბლა

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი

საქართველოს პირველი ეროვნული ფორუმი (GNUF) მნიშვნელოვანი შედეგებით დასრულდა. ფორუმში 30-ზე მეტი საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტი მონაწილეობდა, რომელთა აქტიური ჩართულობით, პანელური სესიების და სამუშაო შეხვედრების ფორმატში, სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი განიხილებოდა. თემატიკა მოიცავდა სივრცითი დაგეგმარებისა და ურბანული განვითარების მიმართულებებს. მივიღეთ საკმაოდ კონკრეტული შედეგები, რომელსაც დოკუმენტის სახე მიეცა და მომზადდა გაეროს განსახლების პროგრამის (UN-Habitat) ეგიდით გასამართ მსოფლიო ურბანულ ფორუმზე (WUF-12) წარსადგენად. ასეთ მასშტაბურ ფორმატში სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია მოგვცემს შესაძლებლობას, საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად განვიხილოთ ჩვენი გეგმები, რათა გავიზიაროთ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა და კიდევ უფრო დავუახლოვდეთ ჩვენს სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

ეს ფორუმი დაგვეხმარა, საზოგადოების ყურადღება მიგვეპყრო დარგის სხვადასხვა წამყვან მიმართულებებზე, აგვემაღლებინა საზოგადოების ცნობიერება სივრცითი დაგეგმარების შესახებ, საუკეთესო პრაქტიკების გამოყენებით დაგვესაზიადგინა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის უკეთესი გზები, ხელი შეგვეწყო სივრცითი და ურბანული გეგმების შემუშავებაში ჩართული მხარეების თანამშრომლობის ფორმატისთვის და კიდევ უფრო სიღრმისეულად გაგვეაზიარებინა კლიმატის ზემოქმედებისა და ბუნებრივი გარემოს ფაქტორები ჩვენს საქმიანობაში.

აღსანიშნავია მსოფლიო ურბანული ფორუმის შედეგები, სადაც გვქონდა შესაძლებლობა, საქართველოს პირველი ეროვნული ფორუმის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმა

წარგვედგინა და აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად, სივრცითი და ურბანული განვითარების ასპექტები განგვეხილა. ასევე, მონაწილეობა მივიღეთ გაეროს განსახლების პროგრამის (UN-Habitat) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ ორგანიზებულ პანელურ დისკუსიებში. სანაპირო ზონის სივრცითი განვითარების გეგმის მომზადების მაგალითზე, განვიხილეთ ზღვისპირა ქალაქების დაგეგმვის პროცესში კლიმატგამძლეობის კომპონენტი. ასევე, ვიმსჯელებთ აღმოსავლეთ ევროპაში მდგრადი ურბანული ტრანსფორმაციის საკითხებსა და ქვეყნის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებაზე.

გამოვყოფდი აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების საკოორდინაციო შეხვედრებსაც, სადაც “შუა დერეფნის” საკითხები და ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო გზაზე არსებული ქალაქების ურბანული დაგეგმვის სამომავლო ხედვა განვიხილეთ, ასევე, ვიმსჯელებთ ამ რეგიონების მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარების დაგეგმვის ერთიანი პლატფორმის შექმნისა და მასში საქართველოს, როგორც ლიდერის, პერსპექტივაზე.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ურბანული ფორუმი, 2 წელიწადში ერთხელ იმართება. წელს WUF-12 განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა, რადგან ოცწლიანი ინტერვალის შემდეგ, ისევ აფრიკის კონტინენტზე დაბრუნდა. წლევიანდელ ფორუმზე 35 000 დამსწრე იყო მსოფლიოს 180-ზე მეტი ქვეყნიდან. ასეთი ფორმატი კარგი შესაძლებლობა იყო იმისთვის, რომ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად, სივრცითი და ურბანული განვითარების ასპექტები განგვეხილა, ასევე, ამ მიმართულებით საუკეთესო გამოცდილება გაგვეზიარებინა.



ქალაქ ბორჯომის გენერალური გეგმის განახლება დაწყების თარიღი: დეკემბერი, 2023




14 ქ. ბორჯომის მიწათდაფარულობის რუკა

მასშტაბი 1: 10 000

პროექტი

ქ. ბორჯომის გენერალური გეგმის და განახლების გეგმის შედგენა/განახლება - მოქმედ ქალაქგეგმვაში დოკუმენტაციის რევიზიის გათვალისწინებით

ეტაპი 1 - კვლევა, ანალიზი, შეფასება
1.3 - საბოლოო ანგარიში





**GEORGIA
NATIONAL
URBAN
FORUM**

**NATIONAL URBAN
FORUM OF GEORGIA
2024**

